გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 111

2023 წლის 9 ივნისი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2022 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2022 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2022 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

2022 წ. 01. ივლისიდან - 2023 წ. 15 მაისის ჩათ. (შედეგები)

დაფინანსება 6506078 ლარი

1) ჯანდაცვის განყოფილება 3 475178 ლარი. გაიხარჯა 2 424011 ლარი. ისარგებლა 3224 ბენეფიციარმა.
2) სოციალური განყოფილება 2 289100 ლარი. გაიხარჯა 1 297717 ლარი. ისარგებლა 1990 ბენეფიციარმა.
3) ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება 15800 ლარი. გაიხარჯა 3995 ლარი ისარგებლა 15 ბენეფიციარმა.
4) სოციალური პრექტების თანადაფინანსება 726000 ლარი. პროგრამაში ჩართულია და ფინანსდება 13 არასამთავრობო ორგანიზაციის 26 პროექტი. პროგრამით ისარგებლა 7320 ბენეფიციარმა.

სულ: ისარგებლა 12549 ბენეფიციარმა
გაიხარჯა 4 451723 ლარი

დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები:

- "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი"
- საზოგადოება "ბილიკი"
- სკრის სათემო ასოციაცია "ბეთლემი"
- საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"
- "საქართველოს სამარიტელთა კავშირი"
- "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება"
- ასოციაცია "თანხმობა"
- "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დასაქმებისა და ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი"
- „შენი თბილი კერა“ მოხუცებულთა თავშესაფარი
- „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“
- "შ.შ.მ. პირთა და ბავშვთა სარეაბილიტაციო სპრტულ გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბი "კენტავრი"
- GCRT "წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი"
- საზოგადოება "აიქიუ" შშმ მქონე ბავშვების ფსიქო-ემოციური რეაბილიტაცია

5) **საზოგადოებრეივი ჯანდაცვა მომსახურება** დაფინანსდა 221000 ლარით.

ორგანიზაციის მიერ ტარდება: მოსახლეობის, სკოლების, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური ორგანიზაციების სამედიცინო, სანიტარულ - ჰიგიენური, სადეზინფექციო, C-ჰეპატიტზე, აივ/შიდსზე და ტუბერკულიოზზე კვლევების ჩატარება და სამედიცინო მომსახურება.

ინფექციურ და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში სულ შემოსულია შეტყობინება 2865 შემთხვევაზე.

- ტუბ. კაბინეტიდან შემოსულია სულ სასწრაფო შეტყობინება 33 შემთხვევაზე. მოძიებული იქნა კონტაქტები (სულ 94 კონტაქტი), მოხდა მათი რეფერალი ტუბ კაბინეტში აქტიურ/ლატენტურ ტუბერკულოზზე კვლევისთვის. კონტაქტებში ტუბერკულოზის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.
- საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 1241 შემთხვევა დაფიქსირდა (მ.შ მოხეტიალე ცხოველით 408, პატრონიანით - 833, აქედან ძაღლი იყო პატრონიანი-505, მოხეტიალე(მაწანწალა)-279. სრული კურსი დაენიშნა 453 პირს, პირობითი - 788-ს. ანტირაბიულ კაბინეტებს სულ გადაეცათ 3750 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 75 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.
- სულ საანგარიშო პერიოში C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა/შიდსსა და ტუბერკულოზზე, სკრინინგი ჩაუტარდა 928-მდე პირს, დადებითი იყო 7(ახალი შემთხვევა), რომლებიც შემდგომი კონფირმაციული კვლევებისათვის გადამისამართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.
- **საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების** შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და პრევენციის გაძლიერების მიზნით, აღებული იქნა 95 ნიმუში (215 პაციენტისგან), გამომწვევის იდენტიფიკაცია მოხდა 5 შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ერთი ეპიდაფეთქება, ჩატარდა დეტალური ეპიდკვლევა.
- **კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით** ტესტირება ჩაუტარდა 2004 პირს, მათ შორის დადასტურებული იყო 233, სულ მუნიციპალიტეტში დადასტურებული იყო 528 პირი და ეპიდკვლევა ჩატარდა ყველა შემთხვევაში.
- **პარაზიტოლოგიური კაბინეტში** 2022 წლის წლის ივლისის თვიდან შემოსულია სულ 789 საანალიზო ნიმუში. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 248 შემთხვევაში, ასკაროდოზი 111, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი-ასკარიდოზი) 69, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი-ლამბლიოზი) 1, შერეული ინვაზია (ენტერობიოზი-სოლიტერი) 1 და ანალიზები ინვაზიის გარეშე 359.
- **გრიპის სეზონის დადგომისთან დაკავშირებით** ჩატარდა სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. გაიხარჯა 2191 დოზა ვაქცინა, აქედან სჯდ ცენტრში ჩატარდა 1122 პირის აცრა.
- **პროფილაქტიკური სამსახურის მიერ** მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და

ესთეტიკის სალონებში. სულ ჩატარდა 47 სასკოლო, 36 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და 48 სილამაზის სალონის მონიტორინგი.

- ,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 246 ობიექტს. მონიტორინგის შედეგები მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

6) უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის მერიის მიერ შეძენილი იქნა და სხვადასხვა ლოკაციებზე დამონტაჟდა 7 სოციალური საცხოვრებელი სახლი.

შექმნილი პრობლემები და მათი შემცირება

1. **შ.შ.მ. პირებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის კომუნალური გადასახადების შემცირება.**
2. **შ.შ.მ. პირების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა.**
3. **შ.შ.მ. პირების სრული ადაპტაცია არსებულ გარემოში:**

ა) ქუჩაში ფეხით და ეტლით მოსიარულეთათვის, სპეციალური ნიშნების დამონტაჟება, ბილიკების და პანდუსების კეთილმოწყობა და მათი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;

ბ) საცხოვრებელ ბინებში, სამუშაო ადგილებზე, მომსახურეობის, სავაჭრო, კულტურის, სპორტის ცენტრებსა და თავშეყრის ადგილებში პანდუსების და მათთვის შესაფერისი პირობების მოწყობა;

გ) სურდო თარჯიმნების დასაქმება, საინფორმაციო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში;

4. "ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში გაუთვალისწინებელი დაავადებების მკურნალობის, კვლევების და მედიკამენტების დაფინანსება;

5. ომისგანთ დაზარალებული მოსახლეობის და სხვა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო-რეაბილიტაცია;

6. მოხუცებილთა და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის დროებითი საცხოვრისების შეძენა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ბინების რეაბილიტაცია;